SAM.gov-ზე რეგისტრაცია სავალდებულოა გრანტის მიმღები ყველა ორგანიზაციისთვის. რეგისტრაცია არის ორეტაპიანი და 2-3 კვირიანი პროცესი, ამიტომ რეკომენდებულია რეგისტრაციის დროულად დაწყება.
კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ამ პორტალზე დაურეგისტრირებელ ორგანიზაციებზე გრანტი ვერ გაიცემა.

რეგისტრაციის ორივე ეტაპი არის უფასო, მათ შორის SAM.gov-ის ყოველწლიური განახლებაც.

რეგისტრაციას აკეთებთ შემდეგი **თანმიმდევრობით:**

1. იღებთ ორგანიზაციისთვის NCAGE კოდს
2. რეგისტრირდებით www.SAM.gov -ზე.

დეტალური ინსტრუქცია:

1. NCAGE კოდს ითხოვთ შემდეგ ვებგვერდზე:
   https://eportal.nspa.nato.int/Codification/CageTool/home

   ხშირად დასმულ კითხვებსა და საკონტაქტო ინფორმაციას ნახავთ ამ ბმულზე:
   https://eportal.nspa.nato.int/Codification/Support/en/Products/NCAGE/#pocList

   NCAGE კოდის აღების პროცესში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დარეკეთ 1-269-961-7766 ან მიწერეთ: NCAGE@dlis.dla.mil

   სანამ გადახვალთ მესამე ეტაპზე, დარწმუნდით, რომ თქვენი ახალაღებული NCAGE კოდი არის სისტემაში: https://cage.dla.mil/search

   თუ სისტემაში არ არის NCAGE კოდი გააქტიურებული, დარეკეთ 1-877-352-2255 ან მიწერეთ dlacontactcenter@dla.mil.

2. NCAGE კოდის აღების შემდეგ, დარეგისტრირდით www.SAM.gov -ზე.
   იმისთვის, რომ SAM.gov -ზე პერსონალური ანგარიში (personal account) შექმნათ, საჭიროა ჯერ https://login.gov/create-an-account/ დარეგისტრირდეთ და შემდგომ login.gov-ის ანგარიშით შეხვიდეთ SAM.gov-ზე.

   შემდეგ დაარეგისტრირეთ თქვენი ორგანიზაცია (Register your Entity). **პროცესში დაგეხმარებათ დასურათებული ეს** ინსტრუქცია.
   დაგჭირდებათ NCAGE კოდი და ინფორმაცია თქვენს ორგანიზაციაზე. რეგისტრაციის შუა ეტაპზე შეგხვდებათ მოთხოვნა Unique Entity ID-ზე (DUNS-ის შემცვლელი), რომლის მოთხოვნის შემდეგ მოგენიჭებათ უნიკალური 12-ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი.
   რეგისტრაციას გასააქტიურებლად სჭირდება რამდენიმე დღე.
   SAM-ზე რეგისტრაციის პროცესში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დარეკეთ 1-866-606-8220 ან მიწერეთ: **SAMhelp@dnb.com**

SAM.gov-ის Help-desk-ის ბმული, სადაც თავმოყრილია სხვა დამხმარე ინსტრუქციები და კითხვებზე პასუხი:

https://www.fsd.gov/gsafsd_sp/?id=gsa_landing

ორგანიზაცია რეგისტრირდება მხოლოდ ერთხელ და მიღებული კოდით და რეგისტრაციით მომავალშიც ითანამშრომლებთ აშშ-ის საელჩოს სხვა საგრანტო შესაძლებლობებზეც.

SAM.gov-ზე რეგისტრაციაც და ყოველწლიური განახლებაც არის <u>უფასო</u> და ელექტრონულად მიღებული ფასიანი შემოთავაზებები განახლებაზე არასდროს არის ოფიციალური და ნამდვილი.